ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7292341

ნომერი: AR11009929

თარიღი : 10.01.2024

გაცემის თარიღი : 19.11.2024

გაცნობის თარიღი : 19.11.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N 20ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მხეიძე პ/ნ 60002018121
- ქ. თბილისი,ფანასკერტელის 14, ბინა 48

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს მეტროპოლ ქავთარაძე
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405561486
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი მხეიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 60002018121

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 6648396
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 9.05.2023

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს AR11009929 (10/01/2024) განაცხადით მომართა გიორგი მხეიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N20ა-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.03.040.544), 17/01/2024 წლის № 6843679 ბრძანებით გაცემული პირობადადებული მშენებლობის ნებართვის პირობის შესრულება.
17/01/2024 წლის № 6843679 ბრძანებით გაიცა პირობადადებული მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული ბრძანებებით ნებართვის მფლობელს დაევალა შემდეგი: ამ ბრძანების გაცემიდან 3 თვის (63 სამუშაო დღის) ვადაში უზრუნველყოს: სამსახურში შესაბამისი ელექტრონული განცხადებით საკითხი დაყენებულ იქნას ს.კ 01.14.03.040.341 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შესაბამისად გზის მოწყობისათვის მშენებლობის ნებართვის მოპოვების თაობაზე..“
10/01/2024 წელს AR11009929 განაცხადით სამსახურს მომართა განმცხადებელმა და მოითხოვა პირობის შესრულების ვადის გაგრძელება,
ვინაიდან, სამსახურის 17/01/2024 წლის № 6843679 ბრძანების მე-8 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო გახდა დამატებითი ვადა, AR11009929 განაცხადით სამსახურს კვლავ მომართა განმცხადებელმა და მოითხოვა № 7193253 ბრძანების მე-8 პუნქტით ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელება.
23/08/2024 წლის № 7193253 ბრძანებით დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე პირობის შესრულების ვადა გაგრძელდა 42 სამუშაო დღით.
დამკვეთმა 2024 წლის 18 ნოემბერს წარმოადგინა ზემოაღნიშნული ბრძანებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დამკვეთმა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მითითებები შეასრულა დროულად და სრულად

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შესრულებულად ჩაეთვალოს დამკვეთს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17/01/2024 წლის № 6843679 ბრძანების მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირობა.
2. 10/01/2024 წლისს AR11009929 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის სამშენებლო დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი და განხილულ უნდა იქნას მასთან ერთად.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17/01/2024 წლის № 6843679 ბრძანებასთან ერთად.
4. დაცული იქნას სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან 2024 წლის 16 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების პირობები.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.